ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1711876

ნომერი: AR1281463

თარიღი : 26.01.2015

გაცემის თარიღი : 02.02.2015

გაცნობის თარიღი : 02.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბუსერიძე-ტბელი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან კალანდაძე პ/ნ 01010013497
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 221 კორ. 1"ა" ბ. 29

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1281463 განცხადება, რომლითაც ითხოვთ შ.პ.ს "ბიოვეტ-კავკასია" ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.17.12.020.010) ნაწილზე ღობის მოწყობას, რომლის პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგემარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად არ მიაჩნია მიწის ნაკვეთის ნაწილის შემოღობვა, ვინაიდან აღნიშნული, ნიშნავს, რომ მომავალში ნაკვეთი საბოლოოდ გაიმიჯნება. აღნიშნულთან დაკავშირებით კი გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. ასევე ქ. თბილისის საკრებულოს ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების მუხლი 27–ის თანახმად, უფლებრივი ზონირების დოკუმენტების, როგორც ადგილობრივი სამართლებრივი აქტების, მიღების შემდგომ უფლებრივი ზონირებით მოცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ის ცალკეული მიწის ნაკვეთები, შენობები და ნაგებობები, რომლებიც არ პასუხობენ ამ წესების მოთხოვნებს იძენენ ”შეუსაბამო“ უძრავი ობიექტების იურიდიულ სტატუსს, რომელსაც ანიჭებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი ორგანო“. გამომდეინარე ზემოაღნიშნულიდან თქვენს მიერ გამიჯნული მიწის ნაკვეთი გახდება შეუსაბამო ნაკვეთი, რომლის სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელი აღარ იქნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურის თქვენს მოთხოვნად მიწის ნაკვეთის ნაწილის შემოღობვასთან დაკავშირებით ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.